

მაკა სალია

თურქეთი, დუზჯეს უნივერსიტეტი

ერთი გვარის ისტორია

ზეპირსიტყვიერი მასალა ინახავს ამა თუ იმ ერის, ენის ისტორიას, კულტურას და დროთა განმავლობაში თავად ხდება ისტორიის ნაწილი. ამიტომაც ნებისმიერი ხასიათის მასალის მოძიება საშუარო საქმეა. მეტად მნიშვნელოვანია მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ რა ახსოვთ? რა იციან? რა სჯერათ და როგორ წარმოუდგენიათ თავიანთი ისტორიული წარსული. მოძიებული მასალის დამუშავება და შედარება ისტორიულ წყაროსთან, შემდგომი ეტაპია.

ცნობილია, რომ „ოსმალეთში გვარსახელი არ არსებობდა. მემკვიდრეობითი სახელები გენეალოგიას არ წარმოქმნიდა და მამის სახელი შვილიშვილის თაობაში მემკვიდრეობით სახელწოდებას კარგავდა“.

არის ისეთი შემთხვევაც როდესაც თურქულ ყაიდაზე გაფორმებული გვარ-სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა და ნათესავთა ფართო წრის საერთო სახეწოდებად ყალიბდება. თურქული გაფორმება კი ასეთია სახელს ერთვის თურქული სიტყვა ლუ „შვილი“, ქართული -ძე ან -შვილი დაბოლოების მსგავსად. ასეა მიღებული ფორმა ქეშიშოღლუ. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს იყო (და დღემდე არის) მეტსახელი და ამ სახით ის გვარად ოფიციალურ დოკუმენტებში არც დაფიქსირებულა.

მთქმელის ახსნა კი ასეთია: „...სამშობლო დაგკარგეთ, ოსმალეთი დაგვეპატრონა. გამუსულმანების პროცესი ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით სავსე იყო. შიმშილი, გადასახადები, სიკვდილიანობა—მრავალმხრივ გაუსაძლისი იყო ქართველთა ყოფა. ეს იმას ჰგავს, დიდ კაცთან რომ პატარა კაცს მართალი არ გაუვა“.

სანამ ოსმალეთის იმპერია საქართველოში ფეხს მოიკიდებდა, მანამდე მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო. მაჭახელში, ეფრატში, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა

ერთი მღვდელი (თურქ. „ქეშიში“), რომელიც გვარად ვაწაძე (ვაწაძე თუ ვაცაძე? — მ. ს.) ყოფილა. გადმოცემით, იგი საქართველოს რომელიდაც სხვა მხრიდან იყო გადმოსახლებული. მის შვილებს ქეშიშოლლუ უწოდეს. „მაჭახელში არ არის კაცი, ვინც ამ ოჯახს არ იცნობს“. როგორც მთქმელი შენიშნავს, სასულიერო პირი გვარად ვაწაძე ყოფილა. მას ჰყოლია ორი ვაჟიშვილი — ბეშირი და ჰასანი. რომლებიც მამის წოდების მიხედვით, ქეშიშოლლუებად იხსენიებოდნენ. შემდგომში ბეშირის შვილები ბეშიროლლუები გახდნენ, ჰასანისა კი — ქაჰიაოლლუები. მიზეზი, ალბათ, ისიც იყო რომ გამუსლიმანებულ ოჯახში „ქეშიშოლლუობას“ თავს არიდებდა, თუმცა მთელი სოფელი მაინც ქეშიშოლლუებს ეძახდა მათ.

ბეშირს სამი შვილი ჰყავდა: ომერი, ჰაჯი-უსუფი და ჰასანი.

1877-78 წლებში, როცა ბათუმი კვლავ რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა, დადგა იქ მცხოვრებ მუსულმანთა გადასახლების საკითხი. ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, ანატოლიაში მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. უნატოლიდან და შავიზღვისპირეთიდან ქართველები მარმარილოს რეგონში გადასახლეს. ქეშიშოლლუთა საგვარეულოს ერთი შტო ბეშიროლლუები ამასიაში დასახლდნენ. ყველაზე პატარა ძმა ჰასანი 5 წლისა დაობლებულა. ჰასანის ძმები ამასიაში გადმოსულან, პატარა ძმა კი ბეზიასთვის დაუტოვებიათ, იმ პირობით რომ გარკვეული დროის მერე მოაკითხავდნენ და მათაც წაიყვანდნენ (ჰასანის ამბავს მოგვიანებით მოვუბრუნდებით). ჰაჯი-უსუფის შთამომავალნი ოსმანი და ალი რომლებიც ამასიაში ცხოვრობდნენ ბეშიშოლლუებად იწოდებოდნენ (ბეშირის შვილიშვილები). მოსახლეობის აღწერისა და გვარების გადანაწილების დროს (1934-1938) სახელმწიფო მოხელემ გაიგორა მათი წარმომავლობა (ქეშიშ -> ბეშირ) გადაწყვიტა ისინი სანიმუშოდ დაესაჯა და ბეშირთა შთამომავალს გვარად — ათამთურქი (თურქ. ათამ „წინაპარი“) მისცა. უფრო დიდი სასჯელი არაფერი არ იქნებოდა მათთვის. „თაობა ქართველობას კარგავდა მაშინ, როდესაც სისხლით ნათესავებში თურქი არავინ არ გვეყავდა!“

ობლად დარჩენილი ჰასანის შთამომავალი გვარად ბეშლერები ცხოვრობენ ბურსაში. ქაიათა გვარის ერთმა ნაწილს იიმაია აულია გვარად. როგორც ჩანს, სასჯელი ამასიაში დარჩენილ ქეშიშის შთამომავალთ შეეხო.

„გვარში უფროდაუფრო გამძაფრდა განცდა ქართველობისა. ჯერ კიდევ პატარებს სულ ჩაგვიჩინებდნენ, რომ ჩვენი წინაპარი ქართველი იყო (და არა სხვა), ჭეშმარიტი ქართველები ვიყავით... ამ შინაარსის ტექსტი დღეში რამდენჯერმე მეორდებოდა, ლოცვასავით. ოჯახის წევრებმა თურქული არც იცოდნენ, ბავშვებმა სკოლაში ვისწავლეთ თურქული ენა. სახლში ზღაპრებს ქართულად გვიყვებოდნენ“. ჩვენი გვარი ღვთის რჩეულია. ვლოცულობდით და უფალი გვიფარავდა — ასე მოვედით დღევანდლამდე. არ დაკარგეთ ქართველობა თორემ ღმერთი არ გაპატიებთ... იტყოდა გულჯავრიანი მოხუცი და „დავბრუნდებით, დავბრუნდებით“ — ჩაიბუტბუტებდა ოდნავ გასაგები ხმით. მაშინ ეს სიტყვები იმ ზღაპრის გაგრძელება უფრო მეგონა, რომელსაც ახლა მოგიყვებით. ეს არის ქართული ზღაპარი „არ მინდაა!“¹²⁹

არ მინდაა!..

მაჭახელას მთებში, სოფელ ევრადელში, **სიმინდის** ყანებს **ღორი** შემოეჩვია. ყანის მეპატრონე გლეხები ძალიან შეწუხდნენ; არ იცოდნენ რა ექნათ. ერთ დღეს, სოფლის მკვიდრმა, აილო **თოფი** და გადაწყვიტა ღორს ჩასაფრებოდა — მოსავალიც ეხსნა და სოფელშიც კარგი მონადირის სახელიც „მოეხვეჭა“; ამაყი ნაბიჯებით გაუდგა ყანისკენ მიმავალ ბილიკს და დანიშნულ ადგილამდეც მივიდა. მთელი დღე ელოდა ნადირს, მაგრამ ამაოდ... დრო გადიოდა.

დაღლილმა თოფი გვერდზე გადადო და პანტა მსხლის ქვეშ ჩამოჯდა. ამ დროს ტყიდან შარიშური შემოესმა. ხმა უფროდაუფრო უახლოვდებოდა. ჰა, როგორც იქნა გამოჩნდაო, — იფიქრა კაცმა და თოფი მოიმარჯვა. შებინდებულიყო, მონადირემ მთელი ძალისხმევა და ყურადღება იმ მხარეს მიაპყრო საითკენაც ხმა უახლოვდებოდა და, რას ხედავს... მისკენ ღორი კი არა უზარმაზარი **დათვი** მოემართება. შეშინებული მონადირე ხეზე ავარდა. დათვს მონადირე არც შეუმჩნევია; ეტყობოდა, რომ იმ პანტა მსხალზე იყო მოსული და სხვა არაფერზე ჯავრობდა. ისე, მთელი გულით ათვალეირებდა ალაგებს, ეძებდა პანტა მსხალს. ეტყობოდა, ადრეც ყოფილიყო ამ ადგილას, და რომ ვერაფერი ნახა, ზემოთ აიხედა; ხეს ტოტები აღარ

¹²⁹ მთქმელი ზღაპარს გვიყვება თურქულად, რამდენიმე ქართული სიტყვა, რომელიც მას ახსოვს და ჩაწერის დროს დავაფიქსირეთ მუქი შრიფტითაა დაბეჭდილი;

უჩანდა იმდენი მსხალი მოესხა. დათვიც აცოცდა ხეზე. ის ამჯერადაც მსხლის გარდა არაფერს არ ამჩნევდა. მონადირე ტოტიდან ტოტზე გადადიოდა და ასე ემალებოდა დათვს. მსხლით გატაცებულდათვს მონადირის არსებობა არც გაუგია. შეექცეოდა ტკბილად და ასე გადადიოდნენ ტოტიდან ტოტზე მონადირეც და დათვიც; დათვი კარგად დანაყრდა. დამშეულ მონადირეს წარამარა ადგებოდა პირზე ნერწყვი, მაგრამ მაგას ვინ ჩიოდა... სავსე მთვარეც გამოჩნდა. დათვი წასვლას არ ჩქარობდა. ახლა მთვარის შუქზე კოპწიალა მსხლის ნაყოფს დაუწყო თამაში.საპირისპირო ტოტზე იჯდა მონადირე, დათვი არც ამჯერად ამჩნევდა მას, ის მხოლოდ მსხალს ეთამაშებოდა, თათებს უთათუნებდა. ამ თამაშ-თამაშში დათვი ისე ახლოს მისულიყო მონადირესთან, რომ დამშეულმა მონადირემ იფიქრა, მსხალს მე მთავაზობსო და, — „არ მინდაა“ — აღმოხდა გამწარებულს ღრიალი. კაცის ხმამ ისე შეაშინა დათვი, რომ ხიდან მოწყვეტით დაეშვა და მიწაზე დაენარცხა.

მონადირის შეძახილმა საუკუნეებს გაუძლო. მაჭახელას ტყეში ახლაც გაისმის ექოდ მონადირის ხმა „არ მინდააა“. ხალხში კი ძველებურად, ასე ხუმრობენ — „სხალი გინდა???“

DOÇENTO DOKTOR MAKALIA

Düzce Üniversitesi

Bir Soyun Tarihi

Sözlü malzemeler bir milletin dilini, tarihini ve kültürünü koruyor ve zaman geçtikçe kendisi bu tarihin bir parçası oluyor. Dolayısıyla herhangi bir malzeme bulunması çok önemlidir. Bu bağlamda Muhacir Gürcülerin verdiği bilgiler önem arz etmektedir. Onların hatırladıkları ne kadar önemli? Ne biliyorlar? Neye inanıyorlar ve kendi tarihlerinin asıl tasavvur ediyorlar? Bulunan malzemeleri işleyip tarihi kaynaklarla karşılaştırma sonraki aşamadır.

Biliyoruz ki "Osmanlı İmparatorluğu'nda soyadları kullanılmıyordu. Kalıtsal isimler jenealojiyi oluşturmuyordu ve babanın ismi torunun kuşakta kalıtsaladı kaybediyordu".

Türk usulüne göre isim kuşaktan kuşağa geçiyor ve akrabaların geniş bir çevrenin ismi olarak oluşturuluyor. Soyadı oluşumunda genelde isim sonuna "oğlu" ekleniyor. Gürcü soyadlarını "şvili" veya "dze" olduğubili. Keşişoğlu formu da böylece ortaya çıkmıştır. Bu bir lakaptır ve resmi bilgilerde yer almamaktadır.

Konuşmacının açıklamasına göre: "Vatanımızı kaybettik, Osmanlılar bizi fethetti. Müslümanlaştırma süreci uzun sürdü ve çelişkilerle doluydu. Açlık ve vergilerle mücadele eden Gürcülerin yaşamı birçok yönden dayanılmazdı.

Osmanlıların Gürcistan'a girmesine kadar nüfusun çoğu Ortodoks Hıristiyandı. Maçahel'de Eprati (Efeler) köyünde bir papaz (Türkçe keşiş) oturuyordu, soyadı Vatsadzeydi. Rivayete göre Gürcistan'ın başka bir bölgesinden gelip yerleşmişti. Onun oğullarına Keşişoğlu ismi vermişlerdir. Maçahel'de bu aileyi tanımayan insan yoktur. Konuşmacıya göre din adamının soy ismi Vatsadzeydi ve iki oğlu vardı – Beşirve Hasan. Onlar babalarının ünvanından dolayı Keşişoğullar olarak adlandırıldılar. Sonra Beşir'in çocukları Beşiroğullar, Hasan'ın çocukları ise Kahyaoğlu olmuşlar. Bunun sebebi de müslüman olan aile Keşişoğulluktan kaçmaya

çalışıyorlardı, fakat bütün köy onları Keşişoğlu olarak adlandırıyordu.

Beşir'in üç oğul vardı: Ömer, HacıYusuf ve Hasan.

1877-1878 Osmanlı-Rus Savaşı sonrası Batum'un Rusların eline geçmesi, burada yaşayan Müslümanların tehciretmelerini gündeme getirdi. Osmanlılar yenildikten sonra Anadolu'da nüfus çok azaldı. Anadolu ve Karadeniz'den Gürcüler Marmara Bölgesi'ne yerleştirildi. Keşişoğulları soyunun birdalı olanBeşiroğullar Amasya'da yerleştirildiler. En küçük kardeş olan Hasan beş yaşındayken öksüz kalmıştı. Hasan kardeşleri Amasya'ya gidip bir süre sonra gerigelip yanlarına almak kaydıyla Hasan'ın inesine bırakmışlardı (Hasan'ın hikayesine sonra döneceğiz). Hacı Yusuf'un oğulları Osman ve Ali Amasya'da oturuyorlar ve Beşiroğlu adını taşımaktadılar (Beşir'in torunları). Nüfus sayımları ve soyadlarının verilme zamanda (1934-1938) devlet memuru onların kökenini öğrenmiş (keşiş – beriş) ve keşişadını vermeyerek, soyadlarını Atamtürk olarak kaydetmiş. Bundan daha büyük ceza ne olacaktı? Akrabalarında hiç Türk olmayanlar Gürcülüğü kaybediyorlardı.

Öksüz Hasan evlatları soyadı olarak Beşler almışlar ve Bursa'da oturuyorlar. Kahya soyunun bir kısmı ise soyadı olarakYımayaalmış. Demek ki sadece Amasya'da kalan Keşişoğulları cezalandırıldılar.